



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
ბრძანება



MES 7 23 0000139347



08/02/2023

**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის
„ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ ელექტრონულ სისტემაში
რეგისტრაციის თაობაზე**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2023 წლის 6 თებერვლის №126320 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ (დანართი).

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაცი ების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივ ობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01560	ტექნიკური ნახაზების მხაზველი	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2023 წლის 18 იანვრის

ბრძანებით N5



RTC სარკინიგზო
ტრანსპორტის
კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ტექნიკური ნახაზების მხაზველი

პროგრამის სახე:

☒ პროფესიული მომზადება

☐ პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

☐ 2 ☒ 3 ☐ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 15
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია არქიტექტურული, სამშენებლო და კონსტრუქციული ნახაზების აგების პროცესის აღწერა, ნახაზების რედაქტირება, ნახაზების ანოტირება, სხვადასხვა ტიპის ფაილის გამოყენება და საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება. საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა „AutoCad“-ის პროგრამის გამოყენებით.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) 1. გეომეტრიული ფიგურების ორთოგონალური გეგმილების დახასიათება; 2. გეგმილური ნახაზის აგება; 3. ნახაზის აგების პროცესის აღწერა; 4. ნახაზის რედაქტირება; 5. ნახაზის ანოტირება, სტილების შექმნა; 6. ფაილებზე სხვადასხვა სახის მოქმედებები; 7. საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.
პროგრამის შემუშავების საფუძველი: ➤ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ ➤ მოდულები: • „საინჟინრო გრაფიკა“

- „საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“

პროგრამის მოკლე აღწერა: ტექნიკური ნახაზების მხაზველის ძირითადი მოვალეობაა შეასრულოს საინჟინრო ნახაზი და შეადგინოს საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაცია კომპიუტერული პროგრამა „AutoCad“-ის გამოყენებით.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	• საინჟინრო გრაფიკის დისციპლინის არსი და დანიშნულება; • საინჟინრო გრაფიკის ძირითადი ცნებები; • სივრცის, ფიგურის ასახვის, ნახაზის ცნება; • გეომეტრიულ აგებები სიბრტყეზე დაგეგმილების მეთოდები; • ძირითადი გეომეტრიული ფიგურების ასახვა ეპიურზე; • წირები და ზედაპირები; • აქსონომეტრიული გეგმილები და სტანდარტული იზომეტრია.	1	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერითი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, ნახაზების გამოხაზვა ფურცელზე	A
2	• ორთოგონალური დაგეგმილების პრინციპი; • იცის ნახაზის ცნება;	2	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერითი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა,	A

	ნახაზების შესრულებისა და გაფორმების წესები (სტანდარტული პირობითობანი).				შესრულებული ნახაზის შეფასება	
3	- მარტივი სასწავლო მოდელის ხედებისა და აქსონომეტრიული გეგმილის აგება, ზომების დასმა (საერთო ნახაზი); - საშუალო სირთულის სასწავლო მოდელის თვალსაჩინო ნახაზის მიხედვით, ხედებისა და აქსონომეტრიული გეგმილის აგება; - მარტივი ჭრილები: საშუალო სირთულის სასწავლო მოდელის ორი მოცემული ხედის მიხედვით, მესამე ხედისა და აქსონომეტრიული გეგმილის აგება, საჭირო ჭრილების გამოყენებით ზომების დასმა.	2	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერითი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, შესრულებული ნახაზის შეფასება	A
4	- სამუშაო სივრცე; - საკოორდინატო სისტემები; - აგების (draw) ინსტრუმენტები;	3	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერითი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, შესრულებული კომპიუტერული ნახაზის შეფასება	A,B
5	- სტატუსის სტრიქონი; - საბრძანებო სტრიქონი; - ხაზის ერთეულები და ლიმიტი.	3	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერითი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, შესრულებული კომპიუტერული ნახაზის შეფასება	A,B

6	- რედაქტირების (modify) საშუალებები; - გეომეტრიული პრიმიტივების თვისებები (property); - ფენები (layers); - ბლოკი (block /insrt, create, edit); - სტატუსის სტრიქონი; - პარამეტრული ხაზვის ინსტრუმენტები.	4	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერიტი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, შესრულებული კომპიუტერული ნახაზის შეფასება	A,B
7	- ნახაზის ანოტირების (ზომები, ტექსტი, ლიდერები და ცხრილები) საშუალებები (Annotation); - სტილების შექმნა და რედაქტირება (ტექსტის, ზომის, მულტილიდერის, წერტილის); - ფართო შესაძლებლობების ინსტრუმენტები (Express Tools).	5	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერიტი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, შესრულებული კომპიუტერული ნახაზის შეფასება	A,B
8	- ელექტრონული ფოსტის გამოყენება; - პროგრამის ონლაინრეჟიმში ინფორმაციის მიღება, გაცემა; - მენიუ insert/reference; - ექსპორტი, იმპორტი.	6	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერიტი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, შესრულებული კომპიუტერული ფაილის შეფასება	A,B

9	• მაკეტის სივრცე (Layout); • მასშტაბი; • ეკრანული ხედები (Viewports) • შაბლონი; • ფურცლების ნაკრები (sheet sets); • ბეჭდვის პარამეტრების შერჩევა.	7	15	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	წერითი მეთოდი და ზეპირი გამოკითხვა, შესრულებული კომპიუტერული ნახაზის შეფასება	A,B
---	--	---	----	--------------------------------	---	-----

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
საინჟინრო გრაფიკა 0731801	1. გეომეტრიული ფიგურების ორთოგონალური გეგმილების დახასიათება; 2. გეგმილური ნახაზის აგება;
საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT) 0731821	1. ნახაზის აგების პროცესის აღწერა 2. ნახაზის რედაქტირება 3. ნახაზის ანოტირება, სტილების შექმნა 4. ფაილებზე სხვადასხვა სახის მოქმედებები 5. საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება